# ეშმაკის ეპოქა

ფასი 15 მ.

№ 35

1920 წ.

ივლისის 25




ჩვენი დროის ოპრიჩნიკი.



# მე და თედო,

**(ერთ მოქმედებიანი ტრაგედია)**

„დეე, წაიკითხოს ხალხმა".

**თედო ლლონტი.**

მომქმედნი: 1) **მე**—ახალგაზრდა შუა ხნის კაცი, შავგრემანი, კონტრრევოლუციონერი. ტომით ქართველი. უსათვალო.

2) **თედო**—შუა ხნის ახალგაზრდა კაცი. თეთრ ყირმიზი სოციალისტი. ტომით გრუზინი. სათვალიანი.

მოქმედების ადგილი—ქალაქი თბილისი. რუსთაველის ქუჩა. ქვაფენილი სახელმწიფო თეატრის პირდაპირ, ბ. კიკნაძის წიგნის მაღაზიის წინ. მაღაზიის შუშაბანდში - მოსჩანს აკიდოთ ასხმული რამდენიმე ცალი ახალი წიგნისა. წიგნი თეთრ კანიანია (როგორც ავტორი), ზედ წითელი ასოებით აწერია: Ѳ. Глонти. Членъ Учредительнаго Собранія Грузіи. Азія-(და არა а)-тская политика большевиковъ. Политико-экономическій очеркъ.

**მე** და **თედო** ერთმანერთს შეეხდებით: მე სამინისტროებისკენ მივდივარ, ხოლო **თედო** საბჭოთა რუსეთის მისიის მიმართულებით.

**მე.** აა, თედოს ვახლავართ! გამარჯობა თედო!

**თედო.** გაგიმარჯოს! (ხელს მართმევს)

**მე.** კაცო, რა დაგმართია? როგორ გამოცვლილხარ?

**თედო.** როგორ თუ გამოვცვლილვარ?

**მე.** რა ვიცი, ძმავ, კი ვერ გიცანი. და! ღმერთს გეფიცები, სანამ არ შეგეჩეხე, შორიდან კაპიტალისტი ბერიძე მეგონე... საოცრად დამგვანებიხარ.

**თედო.** (კმაყოფილია ჩემი მიმსგავსების, სიცილით) კარგია, თუ ძმა ხარ, ნუ მასხარაობ! რა მაქვს საერთო კაპიტალისტებთან.

**მე.** შე კაი კაცო, მე გარეგნობას ვამბობ, თორემ შიგნიტიკურათ პირწავარდნილი ბუდიონი ხარ, ან კიდევ ალიოხა სემიზვერევი.

**თედო.** (კიდევ უფრო კმაყოფილია, სიცილით) არა, თუ ძმა ხარ? ხა-ხა-ხა ხა-ხა!

**მე.** (წიგნის მაღაზიის შუშაბანდს ვანიშნებ) თედო. არ აჯობებდა, წითელ კანში ჩაგესვა და ზედ ოქროს ფერ ასოებით წაგეწერა?.. აი საბჭოთა რუსეთის დროშასავ... წითელი რომ არის და ზედ კი ოქროს ასოები აზის: Р. С. Ф. Р.

**თედო.** განა სულ ერთი არ არის? რა მნიშვნელობა აქვს გარეგნობას?

**მე.** არა, თედო-ჯან! მაგრეც ნუ იტყვი. გარეგნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. აი, მაგალითად, შენ: გარედან რომ შეგხედოს კაცმა, ბერიძე ეგონები, ბურჟუა და კაპიტალისტი, ხოლო შიგ რომ ჩაგხედოს, გავარვარებული კომუნისტი ხარ... მაგრამ ამას თავი დავანებოთ!.. რა უნდა მეკითხა?.. ჰო, მართლა! რისთვის რუსულათ დასწერე, კაცო, **ეს წიგნი, და არა ქართულად?**

**თედო** ისე!.. სჯობია!.. დეე, წაიკითხოს ხალხმა...

**მე.** როგორ? განა ქართულად რომ დაგეწერა **ხალხი** ვერ წაიკითხავდა? არც აგრე იქნება, ყმაწვილო! რუსის ხალხს თუ ასიამოვნე, ქართველს რაღას ერჩოდი? ეჰ, თედო, თედო! არ ვარგა ასე ერთბაშათ მოძულება ღვიძლი მკითხველებისა!.. (პაუზა. უეცრად) როგორ გგონია, კიროვი წაიკითხავდა მაგ წიგნსა?

**თედო.** (უპაუზოთ. უეცრად). როგორ გგონია, კიროვი წაიკითხავდა ამ წიგნსა?

**მე.** უთუოდ! უთუოდ წაიკითხავდა! ჩემმა მზემ, შენ მართალი ხარ: როგორა სთქვი წელან? „დეე, წაიკითხოს ხალხმაო!" მე და ჩემმა ღმერთმა ბევრათ სჯობია, რომ რუსულათ დაგიწერია! მართალია, ზედ კანზევე გრამატიკული შეცდომა მოგვსლია, მაგრამ გრამატიკისთვის ზრუნვა ხომ ბურჟუაზიული მიქარვაა! არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ კიროვი წაიკითხავდა! დეე, წაიკითხოს ხალხმა!... თედო, რა მაგის პასუხია და კიროვმა რომ გთხოვოს „სოვეტნიკათ" დამიდექიო... ამბობენ, სერგო ქავთარაძეს საგანგებო საქმისთვის მოსკოვს გზავნიანო... ჰო და მის მაგიერ რომ შენ დაგნიშნოს, რას იტყვი, ა?

**თედო.** (გამოცოცხლება ეტყობა) შენ როგორა გგონია?.. უნდა დავთანხმდე თუ არა?

**მე.** აბა, მაგას რაღა, ყოყმანი უნდა! უთუოდ უნდა დათანხმდე... რამდენი სარგებლობის მოტანა შეგეძლება შენი საყვარელი სამშობლოსათვის! არა, ჩინებულათ მოქცეულხარ, რუსულად რომ დაგიწერია... კაცო, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა: ვინ იცის, ღმერთი რომ გაწყრეს და მიუხედავათ შენი სურვილისა, აქაც რომ შემოვიდნენ! ერთი დიდი პოლიტიკური პარტია მაინც გადარჩება განადგურებას, ფედერალისტების პარტია. ვთქვათ, დანარჩენი შენი პარტიული ამხანაგები შენს აზრს არ იზიარებენ და იმათაც ცუდი დღე დააყენეს, შენ ხომ მაინც უზრუნველ-ყოფილი ხარ. ერთი ჭკვიანი და განათლებული კაცი მაინც შეგვრჩება, ჩემო ძმაო! თუმცა, კიდევ ვიცი მეორე ჭკვიანი კაცი... მაგრამ ის შეცდა, რომ რუსულათ არ დასწერა...

**თედო.** (ინტერესით) ვინა? ვინ არის, თუ ძმა ხარ?

**მე.** მაგას კი ვერ გეტყვი! შენ თითონ მიხვდი. მე კი იმას ამ 10 წლის წინათ აღუთქვი, შენთვის არაფერს დავწერ მეთქი... ნახვამდის, თედო! (ხელს ვართმევ).

**თედო.** ნახვამდის! (ხელს მართმევს).

**მე** ჩემი გზით მივდივარ—სამინისტროებისაკენ, **თედო** კიდევ თავის გზით—საბჭოთა რუსეთის მისიისაკენ.

**თაგუნა.**

# ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ.

ყინულის შეშა, რკინის ნავთი, ნეხვის ბუხარი,
სოციალიზმი,—პეტროგრადში ობლათ შობილი,
ბუზებს ვემალვი, კოლოს კბენით შენაწუხარი,
და ისე დავქრი, ვით ერობის ავტომობილი.

ქალაქის ბაღში ჩამოეშვა ბახმაროს ჩრდილი,
მთამ წარიტაცა ბარის თეთრი თაიგულები.
ქუჩებს ეუფლა მარტოობის ხმელი აჩრდილი
და... უიმედოთ ჩამოვყარე დაბლა ყურები.

ქუჩის ჭაობებს ულვათა რწყავს ოფლის რუები.
მზის სიმხურვალეს აორკეცებს ლენინის ჭკუა—
(აჭარისტანის შეფე გახდა კუდ-ნაძღები)—
და... ჩქარა ეტლი: მობრძანდება შალვა ჭოჭუა!

მთის ყრუ ორწოხებს ახმაურებს „ია“ და „უა“.
მე აქ მარტო ვარ: ძილ-გამკრთალი ვბრუნავ ლოგინში.
აგარაკიდან ცოლი მითვლის (სიმართლე თუა...):
—სული მხდებაო, ჩემო კარგო, მე შენს ლოდინში!

მზე უზრდელია: მას არა აქვს რიდი, არც შიში.
ვაჟს დანიშნულმა ჯვრის წერაზე უთხრა უარი:
„ძლიერ ცხელაო“... მოიხადა თანაც ბოდიში...
(შემოდგომაა ახალ-შიყრილთ თავ შესაფარი).

ყინულის შეშა, რკინის ნავთი, ნეხვის ბუხარი,
სოციალიზმი,—პეტროგრადში ობლათ შობილი,
ბუზებს ვემალვი, კოლოს კბენით შენაწუხარი,
და ისე დავქრი, ვით ერობის ავტომობილი.

D.

---

# ფაჩულია.

ბათუმის განსაკუთრებული კომისარი მოქ. ბენია ჩხიკვიშვილი საუცხოო გუნებაზე იყო. ჩვეულებრივი სიდინჯით, ძალაუფლების და მოვალეობის სრული შეგნებით ნელ-ნელა ადიოდა იგი ყოფილ „Совѣтъ по управленію“-ს ვიწრო და გძელ კიბეზე. სიამოვნებით დაისვა ხელი ლამაზათ შეკვარცნილ წვერებზე და გახედა მისაღებ ოთახისაკენ მიმავალ აივანს. კარებთან კოხტათ დაკეცილ ქაღალდებით შეიარაღებულ მთხოვნელების საკმაო გძელი რიგი დაინახა. ცოტათი არ მოეწონა ამოდენა მთხოვნელებთან საუბარი ამ სიცხეში, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია და ოთახში შევიდა.

— აბა, შემოვიდენ მთხოვნელები—მიმართა კანცელიარიის გამგეს.

— მართლა რა მთხოვნელებია, თითქმის ყველა ადგილს თხოულობს—უპასუხა გამგებ და პირველ რიგში მდგომი ოთახში შემოიწვია.

— რისთვის გარჯილხართ? შეეკითხა განსაკუთრებული კომისარი.

— როგორც მოგეხსენებათ, ბატონო, დაიწყო მთხოვნელმა, ბათუმის შემოერთებას დიდი დრო და ბრძოლა დასჭირდა. დენიკინელები, სედაიმილეთლები, ეფენდიეველები, ბოლშევიკები—აბა რომელი ჩამოგითვალოთ?—ყველასთან სასტიკი ომს ვაწარმოებდით, ჩვენ ინტერესებს ვიცავდით. საქართველოს ცუდათ ხსენებას აბა ვინ გაბედავდა. ერთხელ ჩვენ კონსულს ბ. აღნიაშვილს „პრავიზია“ მიქონდა შინ. ვატყობდი, ეტლში შეტანა უჭირდა. დენიკინელების მილიციონერი იქვე იდგა, მაგრამ არ მიეხმარა. მე მაშინვე ვეცი და ხაბაკი ეტლში ჩაუწყვე.

— დრო ცოტა მაქვს და თუ შეიძლება მოკლეთ მითხარით რა გნებავს—გააწყვეტია მუსაიფი კომისარმა.

— ბ-ნო, ამდენი ნამუშევარი ვარ, ბათუმზე რამდენი სისხლი მიღვრია. ახლა უადგილოთ ვარ და თუ შეიძლება გამომიყენეთ, მიმსახურეთ... რაიმე ადგილი მომეცით.

— თქვენ როდის ჩამომძანდით ბათუმში?

— ქეა ერთი კვირა აგერა.., არა, ესე იგი უკანასკნელათ რომ ჩამოვედი, ჯერინაც ვიყავი.

— ეს კაცი საღაც შინახავს, ფიქრობდა ბენია, მგონი თფილისიდან გავაძევეთ. ყოველ შემთხვევაში ეტყობა ბათუმის ბრძოლაში იმდენი მონაწილეობა მიუღია, რამდენიც მე ჩინეთის რევოლიუციაში. როგორმე უნდა მოვიშორო... და კომისარს ერთმა აზრმა გაუელვა თავში.

— თქვენ ვინ გიცნობთ? შეეკითხა მთხოვნელს.

— ყვილა...

— ფაჩულია თუ გიცნობთ?...

— ფაჩულია... ფაჩულია... არა, სხვა... ყველა მიცნობს... ფაჩულია... უკაცრავათ, მე შემდეგისთვის შემოვიარ პასუხისთვის, ახლა აღარ შეგაწუხებთ.

მთხოვნელი დამდუღრულივით გაძვრა.

ბენია და აკაკი კი იცინოდენ.

შემოვიდა მეორე მთხოვნელი.

— თქვენ ადგილი გნებავთ? პირდაპირ ჰკითხა კომისარმა.

— დიახ. მე ბათუმის შემოერთებაზე დიდათ...

— მოიტანეთ ფაჩულიასაგან სარეკომენდაციო ბარათი. ხომ იცნობთ?

ეს უკანასკნელი კითხვა მთხოვნელს აღარ გაუგონია, რადგან ამ დროს უკვე მეზობელ დუქანში შეიმალა, თუმცა სამართველო მეორე სართულშია მოთავსებული.

— დაუძახეთ შემდეგს - უთრა მეკარეს აკაკიმ.

— მეტი არ გახლავს ბ-ნო.

— როგორ არა, კაცო, ასზე მეტი იდგა რიგში?

— რა ვიცი, ბატონო, ერთბაშათ დაიძახეს „ფაჩულიაო“ და გაშეენ კარებში, ალბათ ჩხუბია ნურიაში და ვინცხა ფაჩულიას თუ სცემენ.

— ვინ ფაჩულიას? სიცილით კითხა ბენიამ.

— არ ვიცი ბატონო, სახელი არ უთქვამთ. ესე გაიქცენ დამდუღრულივით.

ოხ, ფაჩულია, ფაჩულია! შენ მოგეცა იმათი ცოდვა!

**გრ. სლეჩაინი.**

# შექანჯალებულის ლექსები.

ჰერი ბიკო! ჰერი, ჰერი!
როგორ შვენის ქოსას წვერი...
გავძვერი და გამოვძვერი,...
გაულესე კალამს წვერი,
და კოჯორში ამოვძვერი.....
დავბანაკდი აქ კოჯორში,
სიო მიქრის მე ქოჩორში,
გრილი სიო მიქირქილებს,
ვატყომ, ჭკუას გამიჯრილებს
სიცხისაგან დანარბილებს.
მაშ, სალამი ტურფა კოჯორს!!
ამბებს გეტყვით მართალს, არ ჭორს;
სადარბაზოდ ყველგან ვიყავ.
სულ ყოველგან თავი შევყავ—
სულ ყოველგან გიახელი,
და თუ წავკრა ვინმეს ხელი,
მივაზმანო ზურგზე წკნელი
ვუძღვნა წყლული უკურნელი
ხომ არ გეთქმის საყვედური?!
ჩქიმი დუდი, უბედური!!..
კოჯორია ხომ ქალაქი?!
სად ლობიო, სად კარაქი!!..
სად ტყემალი, სად დალაქი?
არ მიყვარს ტყვილად ლაქლაქი
ვაჰ, თუ ვინმე გავაბრაზე!?
ჯერ „უპრავას“ უდარბაზე,
დიდხანს კოჯორში ვერ ვნახე,
თვალიც ვერსად ვერ მოვკარი.
აქ „თვითმართველობის“ კარი,
დამხვდა მაგრად მიხურული,
შიგ ეჭდო მსხვილი ურდული...
ვიკითხე და ეს მომიგეს
„უპრავა“ ჯერ არ მოვაო,
ტფილისში რომ კარგად დაცხავს,
აი, მაშინ ამოვაო,
კოჯრელთ საქმეს იქ „განაგებს“
„ოტდელენია“ იქ აქვსო,
ოღონ კაკალი კი ჭრონდეს,
მეტი რა უნდა სთქვი, თაგვსო;
ენკენისთვიდან იქ მიდის,
ეშინია ცივ ამინდის
ზაფხულობით ქროლა ბინდის
უყვარს და აქ გვესტუმრება...
და შენ, თუ არ გეჩქარება,
დაუცადე და მოვაო,
კარგი დარი გამოვაო
ბევრს არ დაიგვიანებსო...
თქვენ კი გაისეირნებთო....
ჯავრით ჩავარდი ლოგინში.
დიდხანს ვიყავი ლოდინში...
მაგრამ ღმერთმა ქნა წყალობა
კოჯორის თვითმართველობა
ამობრძანდა ზოზინითა,
მჩატე ბარგი-ბარხანითა...
მყის ქალაქის მოურავი
ვნახე, უთხარ სამდურავი:
ამოდენ ხანს სად იყავით?!
მალოდინეთ, რა მიყავით!
არ მოვსულვარ გულით ავით—
საიდუმლო გამიყავით
და მითხარით ერთი ორში:
ტფილისშია თუ კოჯორში
კოჯორის თვითმართველობა?
სთქვით, აქ ქალაქს თუ ვინ აგებს
ან ამ ქალაქს ვინ განაგებს
ვინ არს თქვენი მოქალაქე...
(დავჯექ ბევრი ველაქლაქე)
ტკბილად, ფრთხილად ის შევაქე..
როცა გული მან დამანდო,
„საიდუმლოც“ კი „გამანდო“.
მითხრა: ვით შვას ძაღლმა ჯორი?
სად ქალაქი, სად კოჯორი?!
არ გვქირია ლაპარაკი,
აქ არს მხოლოდ აგარაკი,
ქალაქად ეს ჩვენ გვინდაო,
ჭამა და სმა მოგვინდაო;
ცუდათ ჯდომა მოგვწყინდაო:
და ერთს დღესა, მშვენიერსო,
დიდ მარხვას თუ ყველიერსო,
ავირჩიეთ თვითვე თავი,
კენჭი ჩვენს თავს ჩვენ უყარეთ,
დარაჯნი ვქმენთ გულ მწუხარეთ,
მოქალაქეთ არ ვიცანით,
საქმე ჩავგრიხ-ჩამოვწანით
შევქმენით თვითმართველობა,
თვით ჩვენ საქმის მართველობა:
ჩვენ ყველანი:—მოურავი,
თუ „უპრავისა“ ჩლენები
თუნდაც დუმისა ხმოსნები—
ვართ „დაჩების“ პატრონები,
ჩვენს ინტერესს, ჯიბეს, ვფიცავთ,
ჩვენზე უკეთ ვინ დაიცავს?
თორემ მოქალაქე სად გვყავს?
როდესაც ტფილისში დაგვცხავს
კოხტა კოჯორს მყის ვეწვევით,
თითქოს საქმესაც ვეწევით...
და როს ცოტას აცივდება,
აქ რომ აღარ ჩოიცდება,
ჩვენც აქედან ავიყრებით,
ქალაქ კოჯორს გავეყრებით
და ტფილისში ჩავსახლდებით!..
აქ „ქალაქის“ ვკეტავთ კარებს,
და იქ ტკბილად დროს ვატარებთ,
მხოლოდ ერთი რამ გვაწუხებს,

სულში გულში გვიმარწუხებს,
აგვიჯანყდა დარაჯები,
ის უპკუო, ტყის ქაჯები,
დააარსეს სჩანს კავშირი,
რომ შეოკრავთ ერთი პირი,
და მოგვთხოვეს ჯამაგირი...
რა გაგვიხთა, ხათა, ჭირი!!—
თან სატარიფო პალატა
(თუმც ჩვენ არ ვაგდებთ ჩალათა)
იმ „რაზბონიკებს“ მხარს უჭერს,
ჯამაგირისთვის ხელს გვაჭერს,
მაგრამ გეტყვი გაფრთხილებით,
ჩვენ მას არ ვემორჩილებით,
დარაჯებს გროშსაც არ მივცემთ!
არ კმარა, რასაც პატივს ვცემთ?
ჩვენს „დაჩებში“ რომ ვაბრძანებთ,
მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ:
გვინდა რითმე მოვატყვილოთ
და საქმე გავიადვილოთ:
შარშან მათ კოოპერატივი,
(გთხოვ, ამას თქვენ ნურსად სჩივით)
გაუხსენით ვითომაო,
და საწეროც თითომაო,
მგონი შამოიტანაო,...
გვსურდა „გამოგვეტანაო“
საქონელი „მათთვისაო,“
რომ შემდეგ მიგვეთვისაო
გაგვეყიდა ჩვენთვისაო.
კიდევაც შევასრულეთო
ჯიბები დავისრულეთო,
მათ გული დაუწყლულეთო,
„კოოპერატიც“ დავხურეთო,
დარაჯები კვდება ჯავრით.—
„გოროდსკოი ლავკათ“ იჯარით
ჩავაბარეთ ის ჩარჩებსო,
ნიხრი, მიხრი, იხრი, ბიხრი,
ჩვეს ფეხებზე გვკიდიაო,
ვისაც ძალუძს ის ყიდულობს,
სხვები მშიერი გდიაო,....
ჩვენ რა გვიშავს... იცით მგონი
ვიგდეთ პურის რაციონი,
მარტო „უპრაველებმაო“,
სხვა დაჭამოს გველებმაო...—
მათი ჭირი, ღობეს ჩხირი
(აყროყინდა სადღაც ვირი...)
მე იმათ დარდს აღარ ვტირი...
მხოლოდ დარაჯთა კავშირი,
გაგვიხდაო გულის ჭირად,
ფულს გვთხოვენო სულ ხშირ-ხშირათ...
გადაწყვეტილს ჯამაგირად...
ვა! დაგვსახეს რაღა ვირად!
რა უნდათ, რა დაუშავეთ,
და რომ ჩვენთვის ვამუშაოთ
ფული უნდა მივაშაოთ?
ჰო, და ასე აქ კოჯორში
მდიდრებს აქვს გზა გახსნილიო,
ხედავთ, სპეკულიანტები
ჭრიან აღვირ წახსნილიო...
სიძვირისგან სახლებიო,
ბევრია ხელ უხლებიო,
აწ, მშვიდობით, ამდენ ამბით
გვჯერა, რომ დაიღლებიო...
სადარბაზოთ სხვაგანც მიდით,
მოხარული ვიქნებიო.

**შექანჯულებული.**

---

# გურული სცენა.

(კ რ ე ბ ა ზ ე)

**დათია.** აფხანაგო თავმჯდომარე! მომეცი ერთი სიტყვა...

მართალია დიდი რეჩის თავი არ მაქ, მარა მაინც ვიტყვი ორღერ ენას თუ არ გამცინებენ აფხანაკები...

(ხმები) ვინ გაგცინებს კაცო თქვი რაც გინდა...

**დათია.** წახანე ერთმა აფხანაკმა თქვა: რუსეთში კარგათაა საქმე, იქინე იმ კაცებმა მის გემოზე მუაწყვეს ყორიფელი, აქანე, ჩვენში არ ვარგა არაფელიო,. მე მინდა შევეკითხო: თუ კი იქინე ისე მუაწყეს საქმე, რავაც იგინს უნდოდენ, ჩკენ რეიზა გვიშლიან ხელს?..

მე მაქ სამი ჯორკო და რავაც მინდა ისე დავდგამ ჩემს სახლში...

არა, რუსეთში ასე არ დგამენ, ისე დგამენო... ეგება არ მინდა ისე რავაც რუსი დგამს, ძალაზეა საქმე?

(ხმები-ყოჩაღ ბიჭო დათია! თქვი მასთე ნუ გეშინია.)

**დათია.** ნუ მიშლით თუ ხათრი გაქვენ. რაცხა ვორი სიტყვა მქონდა სათქმელი. შამოშიძახეთ აქეთ იქიდან და თლათ შემეშალა სამცნაური...

(ხმა კრებიდან.) დეისვენე, მეიგონე და თქვი:

**დათია.** კი თქვი ძამია, მარა ამას კაცი უნდანასტაველი და მოლაპარაკე.. მოგეცა სიცოცხლე, მშვენიერად მქონდა აწყობილი გულში ყორიფელი, მარა, რავაც გამივედი სალაპარაკოთ თუ არა, მაშვიმე დამებნა ტარაბუე და ქათმის ბურდღასავით გაფრინდა ჩემი „რეჩი“... ჰო, იმას ვჩივოდი!..

**მოწინააღმდეგე.** (მკაცრად.) თავმჯდომარეე! დაიცავით წეს-რიგი, საგანს გადასცდა...

**თავმჯდომარე.** თქვენ არა გაქვთ სიტყვა, გთხოვთ ნუ უშლით...

**მოწინააღმ.** ნუ უშლი რომელია? საგანზე ილაპარაკოს და არა ჯორკოზე...

**დათია.** ჩემო ძამია, შენ წახანე, პარახოტებზე, პოეზდებზე, ციხეზე და ზარბაზნებზე ილაპარაკე, არა ყლონჩში არაკაცი გტეკებია, ჩემი კი ჯორკო

გაგიკვირდა? ახლა ყორიფელი ჩანს, თუ იმისთანე ვთქვი რამე, რომელიც შენ გიამება კაია, თუ არა და მაშვინ გადავცდი? იმდენი ილაპარაკე და კაცს არ გუუჩერებიხარ და ახლა მანდამაინც მე გაგიჩერდე? უკაცრავად შენთან, ახლა უნდა ვთქუა, ყორიფელი რაც მაქ სათქმელი...

მაგას უწინ „პრისტავი“ შობოდა ჩვენში, რაც ქონდა სათქმელი ჩამოაქფოვდა ყველას და თუ ვინმე პასუხს კადრებდა იყვირებდა: „გააჩერეთ მაგი ვინცხაა თვარა დეეიჭირავ ახლავესო. არ მოგწონს ჩემი ნათქვამი??

არც მე მომწონს შენი აფერი და რა ვქნათ ახლა? სიტყვის ნებას არ მაძლევ და თუ გინდა გევიდეთ ეგერ და ვიჩხუბოთ...

მართალია დიდი ნასტავლი არ ვარ მარა კრებას ბევრს დავსრებივარ, მარა აგი არსათ არ მინახავს რასაც შენ შობი...

**მოწინააღმდეგე.** მოკლედ სთქვი რა გინდა?

**დათია.** (მოთმინებიდან გამოსული.) რა მინდა და შენი სიკვდილი და წახთენის დღეი. მაცალე პაწე.. (საერთო სიცილი და ხმაურობაა) აა. ახლა ვათავებ ჩემს სიტყვას და ვჩუმდები, მარა ბიკი ხარ და გამოდი აქანე და თქვი რამე...

(**თავმჯდომარე** ამშვიდებს ხალხს კრება გრძელდება, სიტყვა ეძლევა მოწინააღმდეგეს.)

**მოწინააღმდეგე.** ამხანაგებო!

**დათია.** შენი აფხანაკები შენს სახლში მეიკითხე...

**მოწინააღმ.** მე მინდა...

**დათია.** მე ვიცი შენ რაც გინდა...

**მოწინააღმ.** მე მეგონა, რომ...

**დათია.** შენ გეგონა ვირები, დაგხვდებოდა აქანე..

**მოწინააღმ.** თავმჯდომარეკ! სადაა წესრიგი?

**დათია.** სადაა და რუსეთში...

**მოწინააღმ.** მე, სასტიკ პროტესტს უცხადებ თავმჯდომარეს ასეთი უწესრიგობისათვის და ვსტოებ კრებას...

**დათია.** რა გეჩქარება, ღვინის დასალევი მიირთვი და ისე წადი... ანდა თავმჯდომარესთან რა გინდა. იგი კი არა მე შეგიშალე, ისე რავაც შენ მიშლიდი წახანე...

„რასაც დათესავ იმას მომკიო“. შენ ლობიეც არ დაგითესია და პური გინდა მოგვიიდეს? აგი ჯერ არაა ჩვენში, შეიძლება რუსეთში იყოს და შენც იქინე მიბრძანდი..

**რ. ჯიბლ.**

---

# მეორე საეკლესიო კრება.

(**მისტერია ორ მოქმედებად.**)

## მოქმედება II.

მომქმედნი პირნი: იგინივე, რაც „წინასწარ კრებაზე“ და გ. იმნაიშვილი, მამინაიშვილი, მამა ე. თუთფერიძე, მამა იასონ კაპანაძე, მამა ტიმოთე სეფისკვერაშვილი, დავით დავიდოვი, მამა არსენი ცხვარიყლაპიაშვილი, მამა ლუარსაბ აღაპაძე, თედორე ღიპაძე, მამა თეოდორე საკურთხიშვილი და სხვა დანარჩენები.

**კათალიკოზი ლეონიდი** — (წამოდგება, კრებას ხსნის შემდეგი სიტყვებით): მართლ-მორწმუნენო ქრისტიანენო, შვილნო კეთილნო, კურთხევა ღვთისა და მადლი მისი თქვენზე გადმოვალს, რათა ცხოვარნი მისნი ქრისტემან ღმერთმან განარინოს განსაცდელსა ბელზებულისა და ურწმუნოთა, მზაკვართა და წარწყმედილთა. სასოებითა მრავალითა აღივსო გული ჩემი ხილვისა გამო თქვენისა, არა ჰხამს წარკვეთა სასოებისა, ვინაიდან მრავალ არიან კვლავ მორწმუნენი... ხოლო, მრავალ-გზის მწუხარებითა და სევდის ქვებითა დამექოლა გული, ოდეს თქვენ გხედავთ გამხდართ, მშიერთ, ღიპჩამოფერთხილთ, უდროვოდ მოხუცებულთ, შიშველ-ტიტველთ. სადღა არიან სიაღისფერე თვალთა თქვენთა, ძოწეულება ბაგეთა თქვენთა და სიმსუქნე სტომაქთა თქვენთა.., სადღა არიან ანაფორათა თქვენთა ფარჩეულობა და შარი-შური..; ოჰ რაოდენ შევიწროვდით და დაიტანჯეთ ურწმუნოთაგან მოვლენილ დროებამისა და წესწყობილებისაგან... მაგრამ ნუ წარიკვეთთ იმედს, კვლავ ძალგვიძს აღვიმაღლოთ ხმანი ჩვენი, ვასმინოთ ღაღადისი ჩვენი მარწმუნეთა და ღვთის მოსავთა, **ხმა ღვთისა და ხმა ღვდლებ-სა** ერთი არს, იგი შეარყევს ბჭეთა ურწმუნოთა და შთააგდებს ცეცხლსა მას საუკუნოსა... აღვიმაღლოთ ხმანი და ვასმინოთ ერის ურწმუნო წინამძღვართ და ვაიძულოთ ყურად იღონ ღაღადისი ჩვენი, ხოლო, უკეთუ არა დაადგენ გზასა მართალთასა, ჩვენ ძალგვიძს მოოწმენეთ მივმართოდ, ჩვენ ძალგვიძს ჩვენი მოვითხოვოთ და მოწყალე უფალია... აბა, თქვენ იცით, ვითარის ბრძნობით შეუდგებით საქმეს..... (კათალიკოზი ჯდება-კრებული მოწიწებით თავს დაჰხრის. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. იმნიაშვილი; მუშავდება დღის წესრიგი).

**თავმჯდომარე. საუფლიერო მამანო და ერის შვილნო!** მივიღოთ დღის წესრიგის გამომუშავებაში **„მხურვალე მონაწილეობა“** (და წინასწარ. შემდგარი „დღის წესრიგი“ ჩამოყალიბდება). აი, დღის წესრიგი, „წარმოდგენილი, შემდეგ მოსმენისა შეგიძლიათ შეიტანოთ შესწორება, შეგიძლიათ შეავსოთ და სხვა.

1) პირველი საეკლესიო კრების (917 წლის) დებულებების გადასინჯვა: ა) ოთხფორმულიანი არჩევნები, ბ) კოლეგიალური მართველობა, გ) მღვდელ-მთავრების უფლება; 2) ანაფორის ტარება, 3) მარხვების აღდგენის შესახებ 4) მღვდელ-მთავრების ცოლიანობის შესახებ, 5) საკურთხ-აღაპქელების შესახებ. 6) საღმთო სჯულის სწავლება, 7) უქმეების აღდგენაზე, 8) მიწის ძვრასა, ნიაღვარ-

სეტყვა-ქარზე ჩვენი შეხედულება, 9) წმინდანები სოფლად; 10) სოფლის დედაკაცები ფეხშიშველა მოარული და მათი ვედრებით ჩვენი ჯარის გამარჯვება. 11) ეკლესიის ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოსგან, 12) ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან' 13) მზვერავების (ანუ ჯაშუშების) ყოლა... აი, მართლმორწმუნენო, დღის წესრიგი, თუმცა დღის წესრიგს ვამბობ მე, მაგრამ, ეს შეიძლება ერთი, ან ორი კვირის წესრიგიც დარჩეს, აჩქარება არას გვარგებს, კითხვები იმდენად სერიოზულია, რომ სიდინჯით გადაჭრას თხოულობს...—გსურთ შეასწოროთ, თუ უცვლელად მიიღებთ დღის წესრიგს? **კრებული** —(ერთხმად ყვირიან) უცვლელად, უცვლელად!!! (დელეგატებს სახე გაუნათლდებათ, კრებას გამოცოცხლება ეტყობა).

**კათალიკოზი ლეონიდი.** ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილნო! უმჯობეს არს თავიდანვე განგიცხადოთ ზრახვანი ჩემნი შესახებ **პირველი კრების** დებულებათა: უკეთუ თქვენთაგანი ვინმე მოისურვებს დასტოვოს ის წყეული და საშინელი ოთხფორმულიანი არჩევნები სამღვდელო პირთა და კოლეგიალური, მზაკვრული მართვა-გამგეობა, მე ხელს ავიღებ მორწმუნეთა სამსახურზე, არცა ვილოცავ და არცა ვწირავ და..... (კრებული აწყვეტიებს კათალიკოზს....)

კრებული! (ერთხმად) ყოვლად სამღვდელო, თქვენო უწმინდესობავ! ვითარ იფიქრეთ, ვითარ იიქვნეულეთ, რომ ჩვენ მაგაზე უარს ვიტყოდით? ჩვენ ვსწყევლით და ვკრულავთ ყოველივეს იმას, რაც თქვენ არ მოგწონთ, და ყოველივე დებულებანი პირველ სავლეკიო კრებისა. ეშმაკეულისაგან არის.

**კათალიკოზი ლეონიდე.** ამიერიდან სამღვდელო პირნი აირჩევიან მხოლოდ ჩემმიერ. გარნა, მამა ან თქვენმა უკეთ არ უწყის ვინ ღირს არს მწყესოს ცხოვარნი ქრისტესნი და განარინოს ხიფათსა ბელზებულისასა. რასა იქმს კოლლეგიალური მართველობანი, გარნა უმეტეს ეშმაკეულებისა და მზაკვრობისა, (მღვდელ-მთავრები თავის დინჯი დაქნევით ადასტურებენ კათალიკოზის სიტყვებს). მომახიჭეთ მე შეუზღუდველი უფლებანი, რათა კეთილად წარვმართო საქმენი თქვენნი.

**კრებული**... (ერთხმად) ჭეშმარიტად!.. ამიერიდან თქვენ იქნებით, თქვენო უწმინდესოებავ, მონარქი საქართველოს ეკლესიისა.

**თამჯდომარე.** ეხლა ჯერი მიდგა შემდეგ კითხვაზე: **ანაფორის ტარება.** (სიტყვას იღებსთევდორე ანაფორაშვილი).

**თევდორე ანაფორაშვილი** : „ძმანო ჩემნო, ანაფორა, წმინდა ანაფორა, მხოლოდ მორწმუნენ უწყის მაჯლი მის კალთების მთხვევისა, მხოლოდ მორწმუნეთ იცნან, თუ რაოდენ წმინდა და საიდუმლოებით მოსილია იგი; რამ განგვასხვავოს და რამ შეგვანარჩუნოს მადლი ღვთისა, თუ ანაფორას გავიხდით... ჩემის აზრით შეუძლებელია, ის მუდამ, ჭირში, ლხინში, სახლში, კარში, უნდა გვეცვას... არასოდეს არ უნდა გავიხადოთ, გარდა სარეცელში წოლის დროისა.

**კრებული**... სულ უნდა გვეცვას ანაფორა. (ერთხმად გადასწყვეტენ).

**თავმჯდომარე**... მესამე კითხვა: **მარხვის აღდგენა**...

**მამა ანთიმოზ მარხვისჭამიაშვილი**... მართლ მორწმუნენო! თქვენ კარგად უწყით, თუ რაოდენი ზიანი მოუტანა სულს ხორცის განებივრებამ... ვნებათა ღელვანი და ავხორცობანი ერისა უმწვერვალესობენ. აღდგეს ყველა მარხვები: „დიდი მარხვები“ და „პატარებიც“, რათა ვგვემოთ ხორცი და მორწმუნეთა შორის სანოვაგე გვეშოვნებოდეს ჟამსა გახსნილებისასა. თავმჯდომარევ, გთხოვთ კენჭი უყაროთ (თავმჯდომარეს არც კი აცლის კრებული, ისე ადასტურებს წინადადებას საერთო ღრიალით და ხელის აწევით)...

**თავმჯდომარე**. შემდეგი კითხვა: **მღვდელ-მთავრების ცოლიანობა.**

**მამა კირილე ავხორცძე**... ძმანო, კეთილნო.! ნუ გამიწყრებიან, ყოვლად სამღვდელონი თუ ვიტყვი, რომ არ გვსმენია ჩვენ მართლ-მადიდებელ მღვდელ-მთავრებისათვის ცოლის ყოლა, რას არგებს მით ყოვლად უწმინდურობას, თუ არ წარწყმედს... ცოლი ხვედრი არს მხოლოდ ჩვენს მსგავს ცოდვილთა... ვით მწყსოს მწყემსმა ცხოვარნი, თუ არ გვემა და არ განწმინდა ხორცი... მღვდელ-მთავრები დარჩეს ყოვლად უბიწონი-უცოლონი! (თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას).

**თავმჯდომარე.** ვის გსურთ, მღვდელ-მთავრები დარჩენ უცოლონი!

**კრებული**! (ერთხმით)—ყველას!..

**თავმჯდომარე**. შემდეგი კითხვა: საკურთხაღაპ-ქელეხი... ამ კითხვას იცავენ მამანი: **არსენ ცხვარიყლაპიაშვილი**, ლუარსაბ **აღაპაძე**, და **თეოდორე საკურთხიშვილი**. შემოაქვთ **წინადადება**:... აღდგეს ქელეხ-საკურთხები'.. კრებული ადასტურებს.

**თავმჯდომარე**... კითხვა დაისმის: **საღმრთო სჯულის სწავლება.**

**ტიმოთე სეფისკვერაშვილი**. მართლ-მორწმუნენო! ვინ არ იცის, თუ რა ბჭე იყო სარწმუნოებისა და ზნეობისა საღვთო სჯულის სწავლება, რა პედაგოგიური შერყვნაა სკოლიდან მისი გაძევება... ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, **მოვითხოვოთ მთავრობისაგან საღვთო სჯულს** სკოლებში ასწავლიდენ-..

**კრებული**. (ერთხმად). მოვითხოვოთ.

**თავმჯდომარე... უქმეების აღდგენა**..

**უსაქმურ მამინაიშვილი.** მღვდელნო და საერო პირნო! რა აღმაშფოთებელია შოვინისტ მი-

ნისტრებისა გადაწყვეტილებით ისეთ უქმების გაუქმება, როგორიც არის გიორგობა, ალავერდობა, თამარობა, წმინდა ნინობა, მცხეთობა ესენი ჩვენი ქართველი ერის შემაკავშირებელი-შემადუღებელია.. მოვითხოვოთ ეს უქმები და საზოგადოდ ყველა უქმების აღდგენა... (**მამა ნიკიფორე უქმიაშვილი** იმეორებს პირველი ორატორის აზრს უქმების შესახებ და შემდეგ კრებული ერთხმად სწყვეტს კითხვას).

**თავმჯდომარე.** მაწის ძვრა—ნიაღვარ—სეტყვა ქარის **შესახებ**...

**მამა იასონ კაპანაძე**... საშინელება გველის მართლ-მორწმუნენო, ხალხი გაირყვნა-.. მართლ მსაჯულ უფალმა მრავალ გზისი მოუვლინა მათ მკაცრი სასჯელი, მაგრამ მაინც ვერ დადგნენ გზასა ზედა კეთილთასა: მიწისძვრა და ნაცრად ქცევა გორისა, სეტყვა სიღნაღში, ნიაღვარი და ქარი რათა მოისრნეს ურწმუნონი, მრავალ გზის ევლინებიან ხალხს, მაგრამ ვერ განწმენდილან ოდნავათ... წინადადება ჩემი: განუმარტოთ ხალხს, რომ ყოველი მსგავსი მოვლენა ღვთის წყრომა არის მათ ცოდვის მოსანანებლად მოვლენილი, და არა მზაკვარ და ურწმუნო გეოლოგების მონაჩმახავი რამ...

**კრებული.** ჭეშმარიტად! ამინ! **განუმარტოთ ეგრე ხალხს!**

**თავმჯდომარე.** შემდეგი კითხვა—**წმინდანები და სოფლის ფეხშიშველა დედაკაცები.**

**მამა ნესტორ მკითხავიშვილი.** (იმერეთიდან) კითხულობს ჯერ ლოცვას ღვთისადმი, რომლითაც სოფლის ფეხშიშველა დედაკაცები თურმე დადიან სოფლიდან—სოფლად, მოჰყავს ფაქტები სოფლად წმინდანების გაჩენისა და მათი მადლით ჩვენი ჯარის მტრებზე გამარჯვებისა. შემოაქვს წინადადება—სოფლად წმ. ნდანებისა და მლოცველი დედაკაცების გამრავლებისა.

**კრებული.** (ერთხმად). ჭეშმარიტად! ვამრავლოთ წმინდანები მრჩევლები და მლოცავ-მმოსავნი სოფლად.

**თავმჯდომარე.** ეკლესიის გამოყოფა **სახელმწიფოდან.**

**მამა იაკინთე ფრთხილაძე**.. ვინაიდან მაინც მოხდება ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდგან დავადგინოთ ეხლავე, რომ ჩვენ ვცნობთ მის გამოყოფას საჭიროდ.

**კრებული.** (ერთხმად). ჭეშმარიტად. საჭიროა.

**იგივე იაკინთე.** ხოლო ქონება საეკლესიო, მიწები, თუ მოძრავი დოკლათი გადმოვიდეს ისევ ჩვენს ხელში.

**კრებული.** (ერთხმად). ჭეშმარიტად! გადმოვიდეს ჩვენს ხელში. (კათალიკოზი და მღვდელმთავრები გაკვირვებულხი არიან კრებულის ერთსულოვნობით).

**იგივე მამა იაკინთე ფრთხილაძე**... ხოლო უკეთუ ჩვენში ვინმე ურჩ ექმნეს ეკლესიას,

— მოხსენდეს მას, ვისაც ჯერ არს, ხოლო დახელოვნებულმა პირებმა ამ საქმეში თავს იდვან ეს. (აქა-იქ კრებულში უსათუოფ, უსათუოდ! .) კრება თავდება, დელეგატები მიდიმოდიან... მღვდელმთავრები მოწიწებით თაყვანს სცემენ კათოლიკოზს და ერთ ხმად ეუბნებიან: „დიდი არს ბრძნობა და გულთა მხილაობა თქვენი, ყოვლად უწმინდესო, მამა-მთავარო... ეხლა გვჯერა, რომ არ დაიღუპება საქართველოს ეკლესია! მიდიან ნელ-ნელა.

**ლუკ-ოღლი.**

# ჩვენს ბათუმში.

(**დასასრული.**)

მატარებელი ჯერ რიგიანათაც არ გაჩერებულიყო ბათუმის სადგურის წინ, რომ ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა საყურადღებო ცნობა ჩემი ჩაბრძანების შესახებ. ეს ღვაწლი სავსებით უნდა მიეწეროს „გრუტას“ საგანგებო ბათუმელ კორესპონდენტს.



მე მაშინვე ზღვას მივაშურე და არა გენერალ მდივანს, როგორც ამის შესახებ „გრუტა“ იცნობებოდა.



ზღვა ისევ ისე მშვიდი, ყანარი დამხვდა, როგორც დავტოვე ამ ორი წლისა, სამი თვისა და სამი დღის წინათ. მახსოვს, გაზეთებში იწერებოდენ: თათრებს, გერმანელებს, ინგლისელებს, ფრანგებს, იტალიელებს, დენიკინელებს, ერთი სიტყვით ყველას, ვინც ჩემ შემდეგ ბათუმს დაეპატრონა, გააქვთ ამ ქალაქიდან ყველაფერიო“. ენა არ შემიბორკდება, თაგუნასა და სანდროს დავიფიცავ, რომ ეს ცნობა მოჭორილია, ერთი წვეთი რა არის, ერთი წვეთი წყალი ზღვას არ აკლია! მართალია წაუღიათ ბამბა, თამბაქო, შაქარი, ნავთი და სხვა ამ გვა- ი რამეები, მაგრამ უმთავრესი, რაც ბათუმის ღირსებას შეადგენს: მისი მშვენიერი ზღვა, მის ირგვლივ ამწვანებული მთები, მისი ყვავილოვანი ქუჩები და მისი თვალწარმტაცი ბაღები დღესაც ხელუხლებელია. კერძოთ მე ყველაზე უფრო მესიამოვნა, როცა დავრწმუნდი რომ ზღვას არაფერი აკლდა· ქართული ანდაზა „ზღვა კოვზით დაილევაო“ ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი და მეშინოდა, ვინაიდან უცხოელები არა თუ კოვზით, პირდაპირ გემებით ეზიდებოდენ.

დარწმუნებული ვარ, არცერთი ჩემი ნაცნობი არ გამიმტყუნებს როცა გაიგებს, რომ მეორე ადგილი რომელსაც მე მივაშურე ყავახანა იყო.

უნდა გამოვტყდე, მოლოდინი არ გამიმართლდა! ამ მხრივ ბათუმს დიდი დაქვეითება ეტყობა. არც ყავა, არც შაქარი, ახლანდელ ბათუმელ ყავას არ შერჩენია, მას მხოლოდ ფასი აქვს საკმაოზე მეტი. ეს ფაქტი პირდაპირ აღმაშფოთებელი და დამაფიქრებელია ჩვენთვის.

მე მყისვე გავემართე ბათუმისა და მისი ოლქის განსაკუთრებულ კომისარისაკენ, რომელიც განსაკუთრებულის აღტაცებით შემეგება.



უპირველეს ყოვლისა მე ავუხსენი პატივცემულ ბენიამინ ჩხიკვიშვილს ყავის ხელოვნების დაქვეითება მისდამი რწმუნებულ ქალაქში და ვსთხოვე ამ დარგისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. კომისარმა აღმითქვა, რომ ის თითონ გასინჯავს ყველაფერს ადგილობრივ და მთხოვა დახმარება, უკეთუ ეს საჭირო იქნებოდა.

— საზოგადოთ, ბ—ნო ეშმაკო, გთხოვთ თქვენი სიტყვა და გავლენა დაგვახმაროთ ბათუმის მოწესრიგების საქმეში; ჩვეულებრივის სიდიადით მითხრა ბ—ნმა საგანგებო კომისარმა და ჩემი გული სიხარულით აღავსო.

ამ წინადადებით აღფრთოვანებულმა საჩქაროთ გავათავე დარბაზობა და გავეშურე ჯამესაკენ, სადაც ფიცხლავ შევყარე აპარელია მიტინგი დ. სხვა-ა შორის ვუთხარი მათ:



— ჩვენო ძმებო აჭარლებო! თქვენ, როგორც ჩვენ, ქართველები ხართ. ამას მოწმობას ის ადგილი, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ის გვარი რომელსაც თქვენ ატარებთ და ის ენა რომლითაც თქვენ ლაპარაკობთ. დაბადებიდან სიკვდილამდე, ძმებო და ამხანაგებო, განსხვავება ჩვენ შორის სულ ცოტა არის, სახელდობრ: ჩვენ შეგვიძლია ვსვათ ღვინო, ხოლო თქვენ შეგიძლიათ რამოდენიმე ცოლი იყოლიოთ, მორჩა და გათავდა! მაგრამ, ჩემო ძმებო აჭარლებო, აქაც ამ განსხვავებაშიც არ არის დაცული სრული სიმტკიცე და შეურიგებლობა ჩვენ შორის. კომპრომისები რამდენიც გნებავთ: გარწმუნებთ, ისევე ხშირია მრავალ ცოლიანი ჩვენ შორის, როგორაც ღვინის მსმელი თქვენ შორის. თუ მე არ დამიჯერებთ, ჩემო ძმებო, ჰკითხეთ ჩვენს საგანგებო კომისარს, რომელიც მთავრობის სრული ნდობით არის აღჭურვილი და საიმედო პირია.

დიდი და შეურიგებელი განსხვავება ჩვენ შორის, ძმებო და ამხანაგებო აჭარლებო, იწყება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ. თქვენ ფიქრობთ აჭარიდან სამოთხეში წასვლას წინასწარმეტყველი მაჰმადის მიერ ნაჩვენები გზით, ხოლო ჩვენ იესო ნაზარეველის მიერ ნაჩვენებით. მაგრამ, საყვარელო ძმებო, თქვენც კარგა ხანია მიდიხართ ამ გზით და ჩვენც. ჯერ ჯერობით იქიდან ე. ი. არც თქვენი და არც ჩვენი სამოთხიდან არავინ არ დაბრუნებულა, რომ გვითხრას რომელი გზა უფრო მოკლე და სასურველია.

ამგვარათ, ცხოვრების, ანუ სიცოცხლის გზა ჩვენ, ჩემო საყვარელო ძმებო, ერთნაირი გვაქვს, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი სხვა და სხვა გზით გვიხდება სიარული. მაშ რაღა ჯანაბაზე ვჩხუბობთ და ვდავიდარაბობთ? ვიცხოვროთ ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ძმურათ, ერთმანეთს დავეხმაროთ, ვასწავლოთ, ვეპირისუფლოთ და როცა მოვკვდებით ერთხელ კიდევ გადავკოცნოთ ერთმანეთი და გავუდგეთ თავ-თავის გზას სამოთხეებისაკენ. იქ ქვეყნიური საჭ ხე გვქონდეს ცალცალკე, საკუთარი, ხოლო ამ ქვეყნიური სამოთხე, ე. ი. ეს ჩვენი პატარა საქართველო საერთოდ ძოვითოთ, მოვკაზმოთ ავაყვავოთ, გავალამაზოთ და სიკვდილამდე ვიცხოვროთ შიგ ბედნიერათ, თავისუფლათ და ძმური სიყვარულით.

ასე დავათავე მე ჩემი პირველი და უკანასკნელი საჯარო სიტყვა. ვატყობდი, რომ აჭარლები განსაკუთრებულის კულისყურით მისმენდენ. ერთმა მათგანმა ვერ მოითმინა და წარმოსთქვა.

— ჩვენ კი გავიგეთ, ძიავ, შენ ოღონდ მოლები დააჯერეო.

მე ავხტი, დავხტი და მივედი მოლებთან.



— ჩემო ძმებო! —მივმართე მე მათ.—ჩემს თაგუნასა და სანდროს გეფიცებით, ჩვენი „ქრისტიანი“ მღვდლები მე თქვენზე მეტათ არ მიყვარს. ეცადეთ, ძმებო, მოახერხეთ როგორმე ერთმანეთში მორიგება და ჩვენ, ერისკაცებს ნუ შეგვიშლით ხელს ძმურ ცხოვრებაში. თქვენ ე. ი. მღვდლებსა და და მოლებს ხომ სული გინდათ ჩვენი. დაგვაცალეთ სიკვდილი, სიცოცხლეშივე ნუ ამოგვაძრობთ კისრიდან.

მოლები თანაგრძნობით შეხვდენ ჩემს წინადადებას და მეც კმაყოფილი გამოვბრუნდი უკან, რათა თვალისთვის

— წყალი დამელევინებია. კარგა ხანი ვისეირნე ქალაქის ბაღში და მხიარული გავემართე ვალიკო ჯუღელის საძებრათ. დიდის დავიდარაბის ?ემდეგ მივაგენ ზღვის პირზე წამოწოლილს, სწორიდ იმ სტრატეგიულ ალაგას, საიდანაც თანასწორ მანძილზე მოსჩანდა როგორც ქალების, აგრეთვე კაცების საბანაო და ინგლისის ჯავშნოსანი.

— იცი რას გიტყვი, ეშმაკო, მცირე მისალმების შემდეგ მითხრა ვალიკომ.—მოდი ერთი ჩუმათ ავცურდეთ იმ ჯავშნოსანზე და დავათვალიეროთ. ვინ იცის იქნებ...

— დიდის სიამოვნებით. შენთან ერთად ბანკეტზედაც წამოვალ, არა თუ ჯავშნოსანზე. თავგანწირულებით მიუგე მე.

— აბა გავიხადოთ...

ჩვენ მყისვე ტანთ[illegible] განვიძარცვეთ სამოსელი და გადავეშვით ზღვის ტალღებში.

ვალიკომ სწრაფათ მოუსვა მხარული და გაემართა ინგლისური გემ „ჩინ-ჩაოტი"-საკენ. მეც რასაკვირველია მის მაგალითს მივბაძე, მაგრამ შეგვიტყვეს და ორივენი ნაპირისაკენ გამოვეშურეთ.

— ასე ფარულად შეუძლებელი ყოფილა. მოდი ოფიციალურათ ავიდეთ.-წარმოსთქვა, ვალიკომ აღელვებული კილოთი და ჩემი თავგანწირული თანხმობა კვალად მიიღო.

— როგორც გენებოს! ჩემთვის სულ ერთია! მივუგე მე მას.

არ გასულა არც ორიოდ საათი, რომ ჩვენ საადმირალო ნავით ინგლისის ჯავშნოსანს მივადექით და მცოდნე პირის ხელმძღვანელობით გემის შესწავლას შევუდექით.



ჩვენს აღტაცებას და გაოცებას საზღვარი "არა" ჰქონდა მაგრამ ინგლისელს განგებ არ ვაგრძნობინეთ ჩვენი სულიერი განწყობილება, რა არის არ იფიქროს ვითომ ჩვენს რესპუბლიკას არა ჰქონდეს ასეთი საომარი საშვალებანი. საზოგადოთ ქართველი კაცი გულ ახდილია, ყველაფერს წამოიყვირებდა ამით რასაკვირველია ვიდ სამსახურს არ უწევს თავის სამშობლოს. ჩვენ წინასწარ არ მოგვილაპარაკნია მაგრამ თითქო შევთანხმდითო, ერთი მეორეზე უფრო ეშმაკურსა და მოხერხებულ კითხვებს ვაძლევდით ინგლისელ ხელმძღვანელს.

— ხე—ტყე ინგლისში მცირე უნდა იყოს, თორემ ხისა რო აგეგოთ გაცილებით ამაზე მსუბუქი იქნებოდა!

შენიშნა ერთმა ჩვენთაგანმა და თან ნელა ჩაიცინა, როცა ასეთივე ფარული ღიმილი შენიშნა თვით ინგლისელის სახეს.

თუ ეგ დიდ საიდუმლოებას არ შეადგენს, კეთილ ინებეთ და გვითხარით რამდენი დიუმი იქნება ამ ზარბაზნის პირიდან ანძის უკანასკნელ წერტილამდე?

მიაყოლა მეორე ჩვენგანმა და ინგლისელი პირდაპირ საგონებელში ჩაგდო.

— სთხოვეთ პატივცემულ ინგლისელს გაგვაგებინოს რამდენ გრადუსამდე თბება გემის ჯავშანი დღის განმავლობაში? დინჯათ ჩაფერეფ მეც და პატარა ხნის შემდეგ იძულებული გახდა ინგლისელი ეთქვა, რომ ასეთი დაკვირვებანი მათ არ მოუხედნიათ.

აქ არ ჩამოვთვლი ჩვენ მიერ მიცემულ ყველა კითხვებს, ვიტყვი მხოლოდ, რომ არა ერთმა და ორმა მათგანმა ჩააგდო საგონებელში ჩვენი ხელმძღვანელი ინგლისელი. ჯავშნოსანიდან ჩვენ პირდაპირ ბანკეტზე *) დავბრუნდით.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ბათუმის საკრებულოს დარბაზი! ჩემს გარდა საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ევ. გეგეჭკორი, ბ. ჩხიკვიშვილი დავ. ღამბაშიძე, მიხრან ხოჭოლავა, ადმ. კამიმურა, გენ. კვინიტაძე, გენ. მდივანი და სხვანი მრავალნი. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ეს ბანკეტი არ ჰგავდა ტრადიციულ ჩვენს ბანკეტებს. ლაპარაკობდენ მოკლეთ და სხარტულათ ორ საათ ნახევარ-

*) ბანკეტი მოწყობილ იქმნა ბათუმში ქართული ჯარის შემოსვლის გამო.

ზე მეტი თითქმის არც ერთ ორატორს არ ულაპარაკნია. ამ მხრივ მცირე დისონანსი ინგლისელ ორატორებს შეჰქონდათ.



განსაკუთრებული ყურადღებას იპყრობდა სუფრის ის ადგილი, სადაც მე და ვალიკო ჯუღელი ვისხედით. გენ. კვინიტაძე, ეგგ. გეგეჭკორი და ღამბაშიძე და სხვანი მრავალნი შორის თვალით იცქირებოდენ ჩვენკენ.

ბანკეტი თითქმის დილამდეგაგრძელდა.

ჩემს ხიარულებას სწავლავ და მხოლოდ ის მწარე მოგონება, რომ ჩემი თფილისელი მეგობრები

თაგუნა და სანდრო ჭირის ოფლში იწურებოდენ და თვალყურს ადევნებდენ ჩემს ყოველივე ნაბიჯს ქვეყნის კეთილდღეობისთვის გადადგმულს.

ეშმაკი.

# განცხადება.

## პაროდიები ჩაჩიბაიას.

I

ისევ შენ და ისევ შენ,
**ჩაჩიბაიას-„მადერა,“**
ყველა შენ გენაცვალოს!...
ვერ გიღალატებ ვერა!..

—

ისევ შენ და ისევ შენ,
**ჩაჩიბაიას „მუსკატო“**
სინაზით ჯერ არვინ გჯობს
სალოცავო და ხა ო!

—

ისევ ის და ისევ ის,
**ჩაჩიბაიას „კაგორი“**
ჰიქის ბსკერზე ბრწყინვალეებს,
ვით მაისის კოკორი!...

—

მიყვარდა მეყვარება,
**„გურჯანული არაყი“**
დამიჯერეთ ვერვინ სჯობს
ეს არ გახლავთ არაკი:

—

მიყვარს **ჩაჩიბაიას**
ნაზი „სემმილიონი“
ისე გართობს გიტაცებს,
როგორც ცის ალიონი

-

მიყვარდა მეყვარება
**ჩაჩიბაიას სვირული,**
ისე შველის დაკოდილს,
ვით ავამდყოფს ბილული

—

რა ლამაზად უხდება
რაქველს **„ყიფიანური“**
ხბოს ბეჭს ისევე შვენის
როგორც თარს-ჭიანური:

—

რა მშვენივრად აწესებს
**ჩაჩიბაია** ღვინოს
აბა გაბედოს ვინმემ
დაჰგმოს ან დაიწუნოს.

II

რად არ მართობ
ცოდო არ ვარ?
რად არ მათრობ,
არ გიყვარხარ?
მითხარ, მითხარ ეგრე მალე
ჩემი ვნება რით შეცვალე?
..... გენაცვალე

—

ვსტირი დღე ღამ
**„მუსკატისთვის“**
თვით სატრფოსაც
დავთმობ მისთვის
ვერც თვით **„კაგორს“** დავივიწყებ!
მე სიცოცხლეს მისით ვიწყებ!
მაშ მაკმარე სივალალე
და **„მადერა“** მასვი მალე,
... გენაცვალე

—

**„სვირულს“** ეშმი და სინაზე,
მოსტაცე და შემთავაზე,
**„სემმილიონ“** მოცქრიალე
ტკბილ ნექტარად მომითვალე
.... გენაცვალე
ჩემად გთვლით და დაგხარით
ვით პეპელა ვარდს და იას
მე არ გავცვლი სხვა ფირმების
ღვინოზე **ჩაჩიბაიას.**

**ნაპოლეონ.**

P. S. ბათუმიდან ა. ბლიკვაძის უნახავათ გამომგზავრება ძლიერ მეძნელებოდა და „მეც გავემარ-თე მისკენ.

შაგრამ მეკარემ „დინჯათ" შემაჩერა და მითხრა:
— პატონ ალექსანდრეს სძინავს და ნახვა...
მე მიყისვე გამოვბრუნდი, თუმცა ძლიერ მაკვირვებს ბლიკვაძის ამდენი ხნის ძილი.

—კი.

მიიღება ხელის მოწერა

„ეშმაკის მათრახზე"

ჟურნალი თვეში ღირს 60 მან. გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით, ფასის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

ჟურნალში დასაბეჭდათ მიიღება აგრეთვე **განცხადებები**—შედარათიან ფასებში.

რედაქცია მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, № 24 (ყოფილი გოლოვინის) და ღიაა დილის 8—2 საათამდე.

სახელმწიფო სტამბა